

არმან პიერ დე შოლე

ექსკურსისა თურქესტანსა და რუსეთ-ავღანეთის საზღვარზე

ფრანგი სამხედრო პირი, მწერალი და მოგზაური, გრაფი არმან პიერ დე შოლე (1864-1924) იმიერკასპიის ოლქში გასამგზავრებლად 1888 წლის შემოდგომაზე ეწვია თბილისს. ამგვარად, მისთვის ისევე, როგორც ედგარ ბულანჟიეს, ედმონ კოტოსა და ნაპოლეონ ნეისთვის, საქართველო შუა აზიისკენ მიმავალი სატრანზიტო დერეფანი იყო. სხვა ცნობებს შორის, გრაფი დე შოლე გვაწვდის ცნობებს თბილისის მაღალი საზოგადოების შესახებ.

**Armand Pierre de Cholet. Excursion en Turkestan et sur la frontière russo-afghane par le comte de Cholet, Paris, E. Plon, Nourrit & C<sup>e</sup>, Imprimeurs- Éditeurs, 1889**

Nous en profitons pour faire un peu la connaissance de la haute société de Tiflis, et y aller souvent dans le monde. Le prince Chervachidzé, sous-gouverneur, le général Astafiew, de l'état major, le prince Bagration-Moukransky, le général Toutolmine, commandant la division de Cosaques, le prince Orbeliani, nous reçoivent de la façon la plus charmante et nous présentent à une infinité de princes et princesses du Caucase. Je ne crois pas qu'il y ait au monde un autre endroit où ce titre soit aussi répandu et puisse se trouver appartenir à des gens malheureusement aussi peu fortunés pour la plupart. D'ailleurs, au lieu de profiter de ce qu'elle n'est pas très nombreuse pour se réunir davantage, et au lieu de resserrer entre ses membres les liens d'intimité qui devraient les unir, la société de Tiflis est aussi divisée que possible. Les généraux, les hauts fonctionnaires forment une bande complètement à part, aussi bien que les Arméniens, les Mingréliens, les Géorgiens, etc., etc. Toutes ces coteries se boudent et se connaissent à peine et, dans un grand bal de charité, où tout le monde se trouvait réuni, il nous fut facile de voir que chacun des groupes qui s'étaient formés avait l'air de fréquenter aussi peu que possible les membres des groupes voisins ((22-23).

ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ ცოტა მაინც გავიცნოთ თბილისის მაღალი საზოგადოება და მათთან ხშირად დავდივართ. თავადმა ჭავჭავაძემ – ვიცე-გუბერნატორმა<sup>1</sup>, გენერალმა ასტაფიევმა<sup>2</sup> გენერალური შტაბიდან, თავადმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ<sup>3</sup>, კაზაკთა დივიზიის მეთაურმა – გენერალმა ტუტოლმინმა<sup>4</sup> და თავადმა ორბელიანმა<sup>5</sup> მეტად თავაზიანად მიგვიღეს და კავკასიის უამრავი თავადი და პრინცესა გაგვაცნეს. არა მგონია, რომ მსოფლიოში არსებობდეს სხვა ადგილი, სადაც ეს წოდება ასე ფართოდ იყოს გავრცელებული

<sup>1</sup> ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე (1830-1903) – იურისტი, საზოგადო მოღვაწე, 1865-1867 წლებში თბილისის ვიცე-გუბერნატორი, სახელმწიფო მრჩეველი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი.

<sup>2</sup> ნიკოლაი ალექსეის ძე ასტაფიევი (1842-1889) – გენერალ-მაიორი, სამხედრო ისტორიკოსი, დაქორწინებული იყო ელენე ჭავჭავაძეზე (1850-1929), გენერალ-ლეიტენანტ დავით ჭავჭავაძის ქალიშვილზე.

<sup>3</sup> კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონი (1838-1903) – ქართველი მემამულე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, საზოგადო მოღვაწე.

<sup>4</sup> ივანე ფიოდორის ძე ტუტოლმინი (1837-1908) – რუსი გენერალ-ლეიტენანტი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის გმირი, მეხუთე არმიის კორპუსის მეთაური, 1885 წლიდან კავკასიის კაზაკთა პირველი დივიზიის მეთაური.

<sup>5</sup> შეიძლება იგულისხმება ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (1847-1919) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, სამხედრო პირი, ქველმოქმედი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი.

და შეიძლება ეკუთვნოდეთ ადამიანებს, რომლებიც, სამწუხაროდ, უმეტესწილად ასე ღარიბები არიან. უფრო მეტიც, იმის ნაცვლად, რომ თავიანთი მცირერიცხოვნებით ისარგებლონ უფრო მეტად შესაკავშირებლად და თავის წევრებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, რამაც ისინი უნდა გააერთიანოს, თბილისის საზოგადოება მაქსიმალურად დაყოფილია. გენერლები და დიდმოხელეები სრულიად ცალკე მდგომ ჯგუფს ქმნიან, ისევე, როგორც სომხები, მეგრელები, ქართველები და ა.შ. ა.შ. ყველა ეს ჯგუფი თავს არიდებს და ლამის არ იცნობს ერთმანეთს, ხოლო დიდ საქველმოქმედო წვეულებაზე, სადაც ყველა ერთად იყო, ადვილი შესამჩნევი იყო, რომ თითოეული ჩამოყალიბებული ჯგუფი რაც შეიძლება ნაკლებად ურთიერთობს მეზობელი ჯგუფის წევრებთან.

La grande distraction à Tiflis, en dehors de ces bals de charité, qui sont les seuls qui se donnent dans la ville, consiste à aller au cercle; il y en a trois principaux: le club anglais, le cercle du *Courgeok* et la *Sobranjé*, ou cercle arménien. Dans le premier, les hommes seuls ont entrée, mais dans les deux autres, qui sont d'ailleurs fort beaux, les femmes ou filles des officiers, de la bourgeoisie ou du commerce, vont avec plaisir lire, causer et souper pendant la soirée. Cela fait un assez singulier effet, principalement quand on arrive dans les salles de lecture, de voir à côté de soi une jeune femme ou une jeune fille, qui est là comme chez elle, et qui paraît fort à son aise, s'installer toute seule et lire tranquillement son journal. (23)

თბილისში დიდი გასართობის, ამ საქველმოქმედო მეჯლისების გარდა, რომლებიც ერთადერთია, რაც ქალაქში იმართება, კლუბში სიარულია. არის სამი მთავარი კლუბი: ინგლისური, *კრუჟოკი* და *სობრანიე* ანუ სომხური კლუბი. პირველი მხოლოდ მამაკაცებისთვისაა, ორ დანარჩენში, რომლებიც ამასთან ძალიან ლამაზია, წასაკითხად, სასაუბროდ და სავახშმოდ სადამოობით სიამოვნებით დადიან ოფიცრების, ბურჟუაზიის წარმომადგენლებისა და ვაჭრების ცოლები თუ ქალიშვილები. საკმაოდ უჩვეულო ეფექტი სამკითხველო დარბაზში შესვლისას იქმნება, როცა გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს ან გოგონას ხედავ, რომელიც იქ ისე კომფორტულად გრძნობს თავს, როგორც სახლში და მარტო მოკალათებული მშვიდად კითხულობს თავის ჟურნალს.

თარგმნა ირინე ნაჭყეზიამ